


შეთერთმეტე კლასი. პირველი ვარიანტი



1. მოცემულ წრედში $R_1 = 2$, $R_2 = 5$, $R_3 = 4$, $R_4 = 16$, $R_5 = 4$ ომს, $U = 100$ ვ-ს. გავიგოთ დენის ძალები, სიმძლავრეები თითოეულ გამტარში და ძაბვა თითოეული მათგანის ბოლოებზე.

2. ჰორიზონტალურად მოთავსებული ბრტყელი კონდენსატორის ფირფიტების შუა წერტილში წონასწორობაშია მსუბუქი დამუხტული ნაწილაკი. ფირფიტებს შორის მანძილია 2 სმ, ძაბვა 1000 ვ. მას შემდეგ, რაც ძაბვა გახდა 900 ვ, ნაწილაკმა დაიწყო მოძაობა ქვედა ფირფიტისკენ. რა დროში დაეცემა ნაწილაკი ქვედა ფირფიტას?

3. 60 ვ ძაბვის დენის წყაროსთან მიერთეს ორი გამტარი. მათი მიმდევრობითი შეერთებისას წრედში დენის ძალა აღმოჩნდა 1,5 ა, პარალელურად შეერთებისას დენის ძალა 8 ა გახდა. გავიგოთ თითოეული გამტარის წინაღობა.

4. ვიპოვოთ დენის წყაროს შიდა წინაღობა, თუ ცნობილია, რომ მასთან 1 ომი წინაღობის გამტარის მიერთებისას მის ბოლოებზე ძაბვა 2 ვ-ია, 2 ომი წინაღობის გამტარის მიერთების შემდეგ კი ძაბვა 2,4 ვ-ის ტოლი ხდება.

5. დენის წყაროსთან გარკვეული წინაღობის გამტარის მიერთების შემდეგ წრედში დენის ძალა აღმოჩნდა 5 ა, გამტარში გამოყოფილი სიმძლავრე კი 9,5 ვტ. სხვა გამტარის მიერთების შემდეგ დენის ძალა გახდა 8 ა, სიმძლავრე ამ გამტარში 14,4 ვტ. რა სიდიდის დენი გაივლის დენის წყაროში მისი მოკლე ჩართვისას (როდესაც გარე წრედის წინაღობა ნულის ტოლია)?